№966 2015 წლის 15 მაისი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, „სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიებების განხორციელება“, პროგრამით (პროგრამული კოდი: 37 04) გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებებთან დაკავშირებული (საქართველოში გავრცელებული შინაური ცხოველები, ფრინველები, თევზები და

სასარგებლო-სამეურნეო მწერები), სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**